

ნანა სახეჩიძე • მაია მენაბდე • ნათია ფურცელაძე

# ქართული 9 ენა

## მოსწავლის ნიგნი



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

# სარჩევი

## შესავალი

5

1. გრამატიკის მნიშვნელობისთვის.....	6
2. გრამატიკის დარგები.....	14

## თავი 1 – წინადადების წევრები

16

წინადადების წევრები.....	17
1. ქვემდებარე და შემასმენელი.....	19
2. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში .....	24
3. პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება.....	31
4. უბრალო დამატება.....	33
5. განსაზღვრება.....	35
6. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება.....	36
7. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი.....	46
8. სათაურ-სახელწოდებათა მართლწერა.....	49
9. სამოტივაციო წერილი.....	53
10. გარემოება.....	54
11. ადგილის გარემოება.....	56
12. დროის გარემოება.....	58
13. ვითარების გარემოება.....	59
14. მიზეზის გარემოება.....	61
15. მიზნის გარემოება.....	62
16. სინტაქსური ურთიერთობების სახეები.....	66

## თავი 2 – წინადადება აგებულების მიხედვით

69

წინადადება მოდალობის მიხედვით.....	70
1. წინადადება აგებულების მიხედვით.....	81
2. მარტივი წინადადების სახეები, გავრცობილი და გაუვრცობელი მარტივი წინადადება.....	83
3. სრული და უსრული მარტივი წინადადება.....	86
4. უქვემდებარო მარტივი წინადადება.....	89
5. სახელდებითი წინადადება.....	92

### **3 – შერწყმული წინადადება**

**95**

---

1. შერწყმული წინადადება.....	96
2. შემასმენლის შეწყობა რამდენიმე ქვემდებარესთან.....	102
3. სასვენი ნიშნების გამოყენება შერწყმულ წინადადებაში.....	105

### **თავი 4 – რთული წინადადება**

**114**

---

1. რთული წინადადება.....	115
2. რთული თანწყობილი წინადადება.....	117
3. რთული ქვეწყობილი წინადადება.....	122
4. დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში და მასთან დაკავშირებული პუნქტუაცია.....	126
5. დამოკიდებული წინადადებების სახეები. ქვემდებარებული დამოკიდებული წინადადება.....	131
6. დამატებითი დამოკიდებული წინადადებები.....	133
7. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.....	136
8. <i>h</i> ომერიც წევრ-კავშირის რიცხვში შეთანხმების წესები.....	141
9. განკერძოებული განსაზღვრება.....	146
10. განკერძოებული დანართი.....	148
11. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	152
12. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	153
13. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	156
14. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	159
15. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	162
16. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.....	165
17. განკერძოებული გარემოება.....	168
18. ჩართული.....	170
19. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.....	173

### **დანართი**

**180**

---

ბლოგი და ბლოგერობა.....	181
-------------------------	-----

# შესავალი

„ინდივიდის ენა ახის ინდივიდის ბიოგრაფია, ეხის ენა ახის ეხის ბიოგრაფია. ყველა ინფორმაცია ამოიკითხება ენაში“.

(იოჰან გოტფრიდ პეჩენერი, გეჰმანერი ფილოსოფოსი)

ამ თავში გაიგებ, რამდენად მნიშვნელოვანია  
ქართული გრამატიკის სწავლა,  
როგორ გამოგადგება ის სხვადასხვა ტიპის  
ტექსტის შედგენაში.



## გრამატიკის მნიშვნელობისთვის

ენათა არსებობა კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. ის ადამიანებს ეხმარება ურთიერთობაში; ამიტომ აღნიშნავენ, რომ ენას, უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს. ესა თუ ის ენა ერის განვითარებისა და მისი თვითშეგნების გამომხატველია. ქართულ ენაში აღიბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიის ეტაპები – ერის კულტურული განვითარების თითოეული საფეხური. ამიტომაც ყველა თაობა ვალდებულია, დაიცვას წინაპართა მონაპოვარი – ქართული ენა, მისი სიწმინდე. შენმა წინაპრებმა ძალა არ დაიშურეს საამისოდ; დედაენას ძეგლიც კი დაუდგეს.

ქართული ენა საქართველოს ისტორიის კვალდაკვალ, არაერთხელ დამდგარა რთული გამოწვევებისა და საფრთხის წინაშე. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წლის 14 აპრილი. მაშინ საქართველო დამუკიდებელი ქვეყანა არ იყო, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და ძირითადად რუსეთიდან იმართებოდა. 1977 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განიხილავდა ახალი კონსტიტუციის გეგმას, რომლის თანახმადაც ქართული აღარ იქნებოდა სახელმწიფო ენა საქართველოს ტერიტორიაზე და მას რუსული ჩანაცვლებდა. ამ ამბავმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში.



პირველი „დედა ენა“

საპროტესტო ტალღამ კულმინაციას 1978 წლის 14 აპრილს მიაღწია. ცხა-დია, ქართველი ხალხი ასეთ უსამართლობას არ შეეგუებოდა: რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა. დემონსტრანტების უმრავ-ლესობა სტუდენტი იყო, თუმცა საპროტესტო გამოსვლებს მხარს უჭერდნენ ინტელიგენციის ნარმომადგენლებიც. ამავე დღეს საბჭოთა ძალოვნები და მომიტინგები ერთმანეთს დაუბირისპირდნენ, მთავრობის სახლთან კი მობი-ლიზებული იყო საბჭოთა ჯარი. საბედნიეროდ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია.

ამ მოვლენებს გამოხმაურა დასავლური პრესაც. 15 აპრილს *New York Times*-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საბჭოთა ქართველები ქუჩებში გავიდნენ საკუთარი სახელმწიფო ენის გადასარჩენად“. სტატიაში ასევე წერია, რომ წინა ღამით უცნობმა მამაკაცმა დარეკა *New York Times*-ის მოსკოვის ბიუროში და მათ უთხრა: „ენის დასაცავად, კონსტიტუციის საწი-ნააღმდეგო დემონსტრაციას ვმართავთ – გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“. *New York Times*-მა 18 აპრილს გამოაქვეყნა კიდევ ერთი სტატია – „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის დაცვისათვის ბრძოლაში“, რომელშიც ნათ-ქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლება უჩვეულო დათმობაზე წავიდა და ქარ-თულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა.


ეს ქართველთა დიდი გამარჯვება იყო. 14 აპრილი დედა ენის დღედ გა-მოცხადდა. ამ თარიღის აღსანიშნავად „დედა ენის“ ძეგლთან ტრადიციულად ყოველ წელს სხვადასხვა ღონისძიება იმართება.



„დედა ენის“ ძეგლი

ადამიანის მეტყველება და წერის უნარი ხშირად მიუთითებს მის განათლებასა და აზროვნებაზე. ენის ცოდნა მხოლოდ აზრის გადმოცემაში არ გამოიხატება. მნიშვნელოვანია გადმოცემული აზრის ფორმაც. შინაარსობრივი მხარის გარდა, საჭიროა აზრის სწორად, მოხდენილად ჩამოყალიბება. შეიძლება ნათელი, ჭეშმარიტი მოსაზრება ისე ცუდად გადმოსცეს ადამიანმა, რომ მისი შინაარსი დააკნინოს.

ალბათ, შენც შესწრებიხარ ისეთ ვითარებას, როდესაც ვერ გაიგეს ან არას-წორად გაიგეს ნათქვამი და ამან კონფლიქტიც კი გამოიწვია. სწორედ ამიტომ აუცილებელია გრამატიკის სწავლა, მისი წესებისა და კანონზომიერების გააზრება.



იღია ჭავჭავაძის მოთხოვბა „კაცია-ადამიანში“ მოსე გძელაძე თავის მომავალ სასიძოს, ლუარსაბს, სწერს წერილს, რომელშიც კარგად ჩანს მოსეს გაუნათლებლობა. ცხადია, იღიას მიზანი იყო, ეჩვენებინა, თუ რაოდენ მიუღებელია საკუთარი ენის ასე დამახინჯება. გაეცანი წერილს:

ჩემო აღმაფებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო..

თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე წეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმაფებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმეშ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლათი და ქიოფი რომელიცა ან მე აღარ ძალმის რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენი იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიალ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატივისანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰვერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოქას სახლკარიანობასა ჩემსა.

მოსეს რომ გრამატიკა სცოდნოდა, ასეთ წერილს მისწერდა ლუარსაბ თათქარიძეს:

ჩემო დიდგვაროვანო ძვირფასო სიძევ,

დიდად ბედნიერი და მოხარული ვარ, რომ ჩემი სიძე გახდებით. ამ სიახლემ ჩემი სიბერე გაახალისა. სამწუხაროდ, ავად ვარ და მინდა გთხოვოთ. რომ ნიშნობაზე ბევრ ხალხთან ერთად არ მეწვიოთ. ავადმყოფობის გძო ვერ შევძლებ ღირსუელი მასპინძლობის გაწევას. სამაგიეროდ, ქორწილში, რომლის დროსაც ჩემს სახლში უკვე თქვენ იქნებით მასპინძელი. პატივით გავისტურებთ მრავალ ნათესავს, როგორც ეს შეეფერება დიდგვაროვან, სტუმართმოყვარე თავადებს.

## დავალება

### 1. მოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით:

**ა.** გააანალიზე მოსე გძელაძის წერილის ენა (რომელ მეტყველების ნაწილებს იყენებს შეცდომით, როგორ აგებს წინადადებებს, იყენებს თუ არა სასვენ ნიშნებს...).

**ბ.** დაახასიათე თავადი მოსე გძელაძე.

2. ყურადღებით წაიკითხე ნაწყვეტი ნუგზარ შატაიძის მოთხოვნიდან „მოგზაურობა აფრიკაში“.

- ა. ამოინერე არასალიტერატურო სიტყვები და ფრაზები;
- ბ. ისაუბრე, როგორ გარემოში ხდება მოქმედება. შენი აზრით, როგორია მთხოვნელი? დაახასიათე ის.

1. წინათ, დედასთან რო ვცხოვრობდი, ძილი არ მიყვარდა. მაშინ ჩემი ლოგინიც მქონდა და ყველაფერი, მაგრამ დედა რო მეტყოდა, დაწექი, ბიჭო, დაიძინე, გვიანია, არ ვუჯერებდი. მერჩივნა, ტელევიზორისთვის მეყურებინა ან ბავშვებთან ერთად მეთამაშა სასტუმროს დერეფანში. ახლა არა, ახლა ძილი მირჩევნია. დავწვები თუ არა, მაშინვე ჩამეძინება ხოლმე.

სანამ ამ სარდაფს მოვაგნებდი, ძალიან ვწვალობდი – მე და წუპაკა დილმის ტრასაზე, „ალეაში“ ძველ პაკრიშეას ვანთებდით ხოლმე და ცეცხლთან ჩამომსხდრები ვიძინებდით. ახლა აქ მძინავს. მოვალ, შევძვრები მუყაოს ყუთში და გავეხვევი ამ ჩემს საბამში. გაგიკვირდებათ, საბანი საიდანო: საახალწლოდ თემქაზე კორპუსებს ჩამოვუარე – ძველი ტანსაცმელი გექნებათ-მეთქი – და მაშინ მომცეს, ესა და თბილი ბუშლატი. ბუშლატი დიდი მქონდა, მაგრამ სახელოები გადავუკეცე და მშვენივრად მომადგა. ყუთი კი ელიავას ბაზრობაზე დავითრიე.

მუყაოს ყუთში ძილი სოხუმელმა ბიჭმა გოშკამ მასწავლა. კაი რამეა, გარედან სიცივეს არ უშვებს, შიგნიდან – სითბოს. მაგრამ, როცა ყინავს, მაშინ მაინც ცივა. ღამით გელვიძება, კანკალებ, არც საბანი გშველის და აღარც ყუთი. ამ დროს უნდა ადგე და ირბინო, ან ერთ ადგილზე იხტუნო, მაგრამ რაზეა ლაპარაკი, პაკრიშეას მაინც ეს სჯობია.

დავცინოდით ხოლმე ერთმანეთს. მერე წუპაკა აცეტონზე შეჯდა და ბოლომდე ჩაეშვა, სულ გათიშული დადიოდა. აი, ხო გელაპარაკებოდა, არა, ჩვეულებრივად, უცებ აურევდა, სულ სხვაგან წავიდოდა, ბოდავდა თუ რა იყო, არ ვიცი – ხან დედას მეძახდა, ხან მამას, ხანაც რა ვიცი – რას. ბოლოს მოკვდა. ამბობდნენ, გაიყინაო, მაგრამ ტყუილია, აცეტონით მოინამლა.

2. მეტროშიც თბილა. მეტროთი ვინ დადის, სულ უბრალო ხალხი, არა? ხო და, რო იცოდე, ეს უბრალო ხალხი უფრო მეტს იძლევა. მაგრამ მეტრო იმით არი ცუდი, რომ იქ პოლიციაა. ერთხელ დამიჭირეს, მაგრა მცემეს და იმ დღეს ნაშოვნი მთელი ფული – სამლარ-ნახევარი სულ წამართვეს.

მეტროში უფრო გოგოები ჩალიჩობენ. იმათაც კი იჭერენ, მაგრამ არა სცემენ და არც ფულს ართმევენ, მარტო აწვალებენ და ატირებენ.

ზოგს მათხოვრობა უტყდება და ამიტომ ვითომ ყიდის, რაღაც-რაღაცებს დაატარებს, მაგალითად, საეკლესიო წიგნებს, კედლის კალენდრებს, სანთებელებს.

ხალხს ისინი ეცოდება და ფულს აძლევენ. რუსთაველზე ერთი პატარა, ათი თუ თერთმეტი წლის ოჩამჩირელი ბიჭი ფერადი ფანქრებით დახატულ საკუთარ ნახატებს ყიდდა, ცალს ორ ლარად და კარგ ფულსაც შოულობდა.

კვირაში ერთხელ ავტობუსით საჭმელი მოაქვთ. ქაშვეთთან ველო-დებით ხოლმე. ავტობუსში ორი კაცია, უშანგა და რეზო, და ერთი ქალი – მანანა. მოვლენ, დაგვისხამენ პლასტმასის ჯამებში სუპს და მოგვცემენ თეთრი პურის ორ-ორ ნაჭერს. სუპი მიყვარს, ამიტომ ვამატებინებ ხოლმე. თვითონვე გვეუბნებიან, თუ გინდათ, დაგიმატებთო. მერე ჩაის გვასმევენ ან კამპოტს.

ერთხელ დეიდა მანანა მეკითხება, მართლა არავინა გყავსო? არა-მეთქი, ვინმე რომ მყავდეს, ქუჩაში რატო ვიქნებოდი-მეთქი. ავტობუსში ერთმანეთის გვერდით ვისხედით და ვლაპარაკობდით, ის რაღაც თბილად, ალერსიანად მიყურებდა და უცებ, ვხედავ, რომ დედაჩემის-ნაირი თვალები არა აქვს?! – ერთი მწვანე და მეორე ცისფერი. არ ვიცი, რა დამემართა, ყელში რაღაცა გამეჩხირა, ხელი გამოვართვი და ზედ ვაკოცე, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რა სისულელეც ჩავიდინე და თავპი-რისმტკრევით გამოვიქეცი.

მას მერე სუპს მე თვითონ ვიხარშავ. ვყიდულობ ოცკაპიკიან სუპის პაკეტს და შინ მიმაქვს. სარდაფში ბოლი დგება და ამიტომ ცეცხლს გარეთ ვანთებ, კედლის ძირში. იქ ორ აგურზე დავადგამ ხოლმე ალუ-მინის გამურულ ჯამს, შიგ წყალს ჩავასხამ, რო ადუღდება, პაკეტს გავხსნი და ყველაფერს იმ ჯამში ჩავყრი. გამოდის მაგარი სუპი, ისეთი, რომ ჭამით ვერ გაძლები.



კადრი ფილმიდან „გალმა ნაპირი“, რომელიც ნუგზარ შატაიძის მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული.

ქართული ენა მუდმივად საფრთხის წინაშე დგას. ჯერ რუსულმა ენამ დააზიანა, ახლა კი ინგლისურის გავლენას განიცდის. კარგად იცი, მრავალ ბარბარიზმსა თუ უარგონს იყენებს როგორც ძველი, ისე ახალი თაობა. გარდა ამისა, ხშირად ხმარობენ არასალიტერატურო ენობრივ ფორმებს საინფორმაციოსაკომუნიკაციო სივრცეში, რაც იწვევს ყურის შეჩვევას და მცდარი ენობრივი ფორმების დამკვიდრებას. ალბათ, ხშირად მოგისმენია სიტყვები: – ნაგლი, კოპირება, დაითესა, ვაფშე, კაროჩე, გააშეარე და ა. შ. თუ ამგვარ შემთხვევებზე დაფიქრდებით და ყურადღებას გავამახვილებთ, გამოვასწორებთ სამწუხარო რეალობას.

## გაიხსენე

**ბარბარიზმი** არის საჭიროების გარეშე ენაში რომელიმე უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მშობლიურ ენაზე (ხშირად რამდენიმე შესატყვისიც) და რომლის ასიმილაციაც ენაში არ ხდება. მაგალითად: კრანი (ონკანი), ვანა (აბაზანა), კუხნა (სამზარეულო), დაკლიკება (დაწკაპუნება), დათავვა (მონიშვნა)...

**უარგონი** არის თავისებური სიტყვები ან გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ რაიმე პროფესიულ ჯგუფში, წრეში და სხვ.; ეს ერთგვარი პირობითი ენაა, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. მაგალითად, მასნავლებელთა ან ლექტორთა წრეში ხშირად გამოიყენება „ფანჯარა“.

უარგონია ასევე ქუჩური, ფარული „ენა“, ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის „ენა“, რომელსაც გააჩნია სპეციფიკურ სიტყვათა მარაგი და თავისებური გამოთქმებისა და ფრაზების გარკვეული ერთობლიობა, მაგრამ არა აქვს თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ ფონდს უარგონი ეროვნული ენისაგან იღებს, ოღონდ მნიშვნელობას უცვლის. უარგონი ამახინჯებს ენას. უარგონებია: ტეხავს (უხერხულია, ცუდია), დაბოლება (მოტყუება), ასწორებს (კარგია, სასიამოვნოა).

**დიალექტიზმი** არის ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეული. მაგალითად, ბოვში (ბავშვი), ქალაუ (გოგო), ჭერხო (მეორე სართული)...

### დავალება

3. გააცოცხლე ფოტოებზე არსებული სიტუაცია.  
რომელ უარგონებსა და ბარბარიზმებს გამოიყენებენ „ა“ და „ბ“ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები?



1. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და გაასწორე. დაიცავი სალიტერატურო ენის ნორმები.

მეგობრებს ყოველ პარასკევ საღამოს ტრადიციათ გვაქ ერთათ გულაობა. სანამ შევხვდებით, ჯერ ვემესიჯებით ერთმანეთს, მერე კი დათქმულ დროს პარკში ვჯდებით და ვსაუბრობთ, ან რაიმე ფართის ვმართავთ და იქ ვგუგუნებთ. სადაც არ უნდა ვიყოთ, კაი დროს ვატარებთ, მარა ყოველთვის ყველა ვერ ვიკრიბებით. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი თვე არ გვინახია ერთმანეთი. რამდენიმე ჩვენთაგანი სპორტზე დადის და არ ცალია, რაც არ უნდა ტვინი უბურლო, მაინც არ წამოვა. სიმართლე რომ თქვა, კაია, ასე რომ იქცევიან – რა ჯობია სპორტს! მარა მეგობრებთან ერთად გართობაც მაგრა ასწორებს!

2. ჩაიწერე შენი მეგობრის საუბარი თემაზე – „რა არის ნამდვილი მეგობრობა“. დააკვირდი, რა შეცდომები დაუშვა. გაასწორე ჩანერილი ტექსტი ენობრივი ნორმების დაცვით. გაუზიარე შენი დავალება კლასელებს.
3. ქვემოთ მოცემულია უარგონებისა და ბარბარიზმების ჩამონათვალი. რვეულში ჩამოწერე თითოეული მათგანის სალიტერატურო შესატყვისი.

- |               |             |
|---------------|-------------|
| ა. ფეიკ ნიუსი | მ. დაევასა  |
| ბ. აახია      | ნ. მაყუთი   |
| გ. ჩელენჯი    | ო. პრიკოლი  |
| დ. ბანდი      | ჰ. ლაივი    |
| ე. გაიჩითა    | ჟ. ზაგარი   |
| ვ. პლოსკო     | რ. ივენთი   |
| ზ. ბაითი      | ს. ვანა     |
| თ. დაანონსება | ტ. სასტავი  |
| ი. მაიკა      | კ. ჩამშვები |
| კ. კრანი      | ფ. ნასკი    |
| ლ. დააგომა    |             |